პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2024 წლის _____ აგვისტო; ქ. ბათუმი

მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების მიზნით საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ გათვალისწინებული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 26 ივნისს N10/1424178612-14 განცხადებით მომართა შპს „ბბ ბილდინგმა'' (ს/N448055372) და მოითხოვა ქ. ბათუმში, ქეთევან წამებულის ჩიხი N19, N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ05.31.01.896) 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის არქიტეტქურულ პროექტში 1 (ერთი) სართულის დამატების მიზნით განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდა 2,5-დან 3,0-მდე.

განმცხადებლის მიერ დაგეგმილია საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.31.01.896) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი გზის უვადო და უსასყიდლო სერვიტუტით დატვირთვა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ.

დაინტერესებული პირი განმარტავს, რომ გაუმჯობესდება ზემოთხენებულ მიწის ნაკვეთზე საავტომობილო გზის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, ასევე ხელს შეუწყობს კერძო მეწარმეს შპს „ბბ ბილდინგს“ (ს/N448055372) განახორციელოს თავის სამეწარმეო ინტერესები.

წარმოდგენილი განცხადება განხილული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 23 აგვისტოს N ბ14.142223511 ბრძანებით შექმნილ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ გათვალისწინებულ სათათბირო საბჭოზე.

აღნიშნული საბჭოს 2024 წლის 06 აგვისტოს გადაწყვეტილების შესაბამისად, გაცემული იქნა დადებითი რეკომენდაცია, მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების სანაცვლოდ, ქალაქ ბათუმში, ქეთევან წამებულის ჩიხი N19, N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ05.31.01.896) 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის არქიტეტქურულ პროექტში 1 (ერთი) სართულის დამატების მიზნით გაიზარდოს განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტი 3,0-მდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 141-ე მუხლის 23-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე და 25-ე ნაწილის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სათათბირო საბჭოს დადებითი გადაწყვეტილებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების მიზნით, დაკმაყოფილდეს შპს „ბბ ბილდინგი“-ს (ს/N448055372) განცხადება ქალაქ ბათუმში, ქეთევან წამებულის ჩიხი N19, N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ05.31.01.896) 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის არქიტეტქურულ პროექტში 1 (ერთი) სართულის დამატების მიზნით და განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაიზარდოს 2,5-დან 3,0-მდე.

2. განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების შედეგად შენობა-ნაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-სა სასარგებლო ფართობის

სახით დარეგისტრირდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და გამოყენებულ იქნას სოციალური მიზნით.

3. შპს „ბბ ბილდინგი“ (ს/N448055372) ვალდებულია მშენებლობის ნებართვის გაცემამდე განახორციელოს სამშენებლო მიწის ნაკვეთზე გამავალი საპროექტო გზის ტერიტორიის უვადო და უსასყიდლო სერვიტუტის უფლებით რეგისტრაცია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ.

4. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს კანონით გათვალისწინებული შემდგომი ღონისძიებები.

5. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების მიზნით საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ გათვალისწინებული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

„მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების მიზნით საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ გათვალისწინებული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების მიღება

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 26 ივნისს N:10/1424178612-14 განცხადებით მომართა შპს ,,ბბ ბილდინგმა'' (ს/N448055372) და მოითხოვა ქ. ბათუმში, ქეთევან წამებულის ჩიხი N19, N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე 05.31.01.896 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის არქიტეტქურულ პროექტში 1 სართულის დამატების მიზნით განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდა 2,5-დან 3,0-მდე.

განმცხადებლის მიერ დაგეგმილია საპროექტო მიწის ნაკვეთზე ს.კ 05.31.01.896 ქ. ბათუმის მერიის მიერ დაგეგმილი გზის უვადო და უსასყიდლო სერვიტუტით დატვირთვა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ უსასყოდლოდ და უვადოდ დატვირთვა და საპროექტო გზების გაყვანის შემდგომ გზის არსებული მონაკვეთის ქ. ბათუმის მერიისათვის უსასყიდლოდ გადაცემა წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად.

დაინტერესებული პირი განმარტავს, რომ გაუმჯობესდება ზემოთხენებულ მიწის ნაკვეთზე საავტომობილო გზის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, ასევე ხელს შეუწყობს კერძო მეწარმეს შპს ,,ბბ ბილდინგს'', (ს/N448055372) განახორციელოს თავის სამეწარმეო ინტერესები.

წარმოდგენილი განცხადება განხილული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 23 აგვისტოს N ბ14.14223511 ბრძანებით შექმნილ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ გათვალისწინებულ სათათბირო საბჭოზე.

აღნიშნული საბჭოს 2024 წლის 06 აგვისტოს გადაწყვეტილების შესაბამისად, გაცემული იქნა დადებითი რეკომენდაცია, მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების სანაცვლოდ, ქალაქ ბათუმში, ქეთევან წამებულის ჩიხი N19, N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე 05.31.01.896 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის არქიტეტქურულ პროექტში 1 სართულის დამატების მიზნით გაიზარდოს განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტი 3,0-მდე.

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების მიზნით საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ გათვალისწინებული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ განკარგულების მიღება

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გ.წანაწყენიშვილი**